სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს
სხდომის

ოქმი N3

2 ოქტომბერი 2023 წ.

დაბა ხარაგაული ს. კიცხი

სხდომის დაწყების დრო:15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. **წერეთელი თამარ**
2. **არჯევანიძე ელისო**
3. **ჟღენტი ელენე**
4. **კოჩაძე ნინო**
5. **ბერაძე ნატო**
6. **გიორგაძე ლია**
7. **ვერონიკა ჩაჩანიძე**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: თამარ წიწილაშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა - ელისო არჯევანიძე

სხდომის მდივანი - ნინო კოჩაძე

დღის წესრიგი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით
2. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის სკოლის 26 $მ^2$ ფართის იჯარით გაცემის საკითხი;

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:
მომხრე :7
მოწინააღმდეგე: 0

დაადგინეს:დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი N1. *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით*

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი - თამარ წიწილაშვილი

მოისმინეს: ქალბატონი თამარ წიწილაშვილის მოხსენება დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

თამარ წიწილაშვილმა სამეურვეო საბჭოს შეახსენა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ესგ-ს 28-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა (იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ინდივიდუალური საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია) ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

ამჟამად, სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე, მათთვის ისგ ჯგუფმა შეადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მოსწავლეების ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მათი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. იგი მოიცავს აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით, სსსმ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

აზრი გამოთქვა: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ წერეთელმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ"

ქვეპუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის თაობაზე. შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა.
სამეურვეო საბჭომ დეტალურად განიხილია ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და კენჭი უყარა წარმოდგენილი ფორმით 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე- 0

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:
შეთანხმებულად ჩაითვალოს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შესატანი ცვლილებები სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით დანართის შესაბამისად.

საკითხი N2 : სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლაში არსებული 26 მ² ფართის იჯარით გაცემის შესახებ.
მომხსენებელი: სკოლის დირექტორი თამარ წიწილაშვილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს: სკოლის დირექტორის - თამარ წიწილაშვილის მოხსენება სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის 26 მ² ფართის სარგებლობაში მესამე პირთათვის გადაცემის შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლების მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირთათვის გადასაცემად ყველაზე მისაღები ფორმა ფართის იჯარით გაცემაა. რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. სკოლის განვითარებისა და დამატებითი სახსრების მოსაზიდად კარგი იქნება სკოლაში არსებული 26 მ² ფართი იჯარით გაიცეს ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელებლად. მოგეხსენებათ რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა 2021 წელს. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი და არც სააქტო დარბაზი სადაც შეგვეძლებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იჯარით გაგვეცა ფართი ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის.

მშობელთა მრავალი მომართვიანობის და თხოვნის შემდეგ , გთხოვთ ვიმსჯელოთ სკოლის თავისუფალი ოთახის 26 კვმ , კვირაში ორჯერ 2 სამშაბათს და ხუთშაბათს (14:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე) ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისათვის იჯარით გაცემაზე, რაც ხელს შეუწყობს სკოლის კონტიგენტის სტაბილურად შენარჩუნებას, ასევე - გაზრდის სკოლის ბიუჯეტს.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ელისო არჯევანიძემ, მან ბრძანა, რომ, უკვე დიდი ხანია მშობლები ითხოვენ, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის არსებობდეს ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული მომსახურების მიღების შესაძლებლობა, რადგანაც სოფელში მოსწავლეს და მათ მშობლებს არ აქვთ სხვა გასაქანი და საშუალება ქალაქში, ათეულობით კილომეტრებზე ატაროს შვილები, ფინანსურად მათ ამის შესაძლებლობები არ აქვთ, ამიტომ, მიუხედავად იმისა რომ ჩვენს სკოლას არ აქვს სკოლის დარბაზი, სადაც ძირითადად ხდება ამ მომსახურების გაწევა ,გამოინახა ერთი თავისუფალი ოთახის ფართი.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე- 0

სამეურვეო საბჭომ დაადგინა:
სამეურვეო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ძირითად შენობაში პირველ სართულზე მდებარე 26 კვ.მ. ფართის **ერთი წლის ვადით,** ნებადართული საქმიანობის ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელების მიზნით იჯარით გაცემა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: \ელისო არჯევანიძე\

სამეურვეო საბჭოს მდივანი: \ნინო კოჩაძე\